



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 61  
01/09/2015

61-06-4-201509011251



### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 2 აგვისტოს N 1 დადგენილების 16 მუხლის მე-4 პუნქტის და ამავე საკრებულოს N 74 განკარგულების თანახმად

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 2015 წლის აგვისტოს თვეში მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს ფრაქციის სხდომებში და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე, ამომრჩეველთან გასვლითი შეხვედრებისა და ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მიღებისთვის, დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

